დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ვიზიტის განხორციელების თარიღი: 21-22 ივლისი, 2026
დასკვნის წარმოდგენის თარიღი: 12.08.206

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხათუნა საგანელიძე, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

წევრები:

- ელენე ზურაბიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
- თამარ თხელიძე, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

2026 წელი

I. ზოგადი ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
პროგრამის დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)	დიპლომირებული მედიკოსი Medical Doctor
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (დეტალური სფეროს დასახელებისა და კოდის მითითებით)	დიპლომირებული მედიკოსი 0912 მედიცინა
სწავლების ენა	ინგლისური ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 კრედიტი
ISCED-F-2013 დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0912 მედიცინა
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ნომერი	• საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №476568, 11.05.2022 • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 4 ოქტომბრის № 1299764 გადაწყვეტილებით
აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	12/31/2027
აქტიური და სტატუს შეჩერებული ადგილობრივი სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 2 შეჩერებული: 2

აქტიური და სტატუს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა	აქტიური: 324 შეჩერებული: 33
აკადემიური (მათ შორის აფილირებული), მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	აკადემიური: 36 მათ შორის აფილირებული: 13 მოწვეული: 98 სამეცნიერო: 0
სასწავლო და/ან სამეცნიერო პროცესში ჩართული საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა	1
ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	1200
აკრედიტაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში)	**სტუდენტების ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა**
350	600

შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **2026 წლის 9 ივლისის № MES 0 26 0000905436 ბრძანების** საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 21–22 ივლისს განახორციელა ვიზიტი შპს „ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში“ „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადის შეფასების მიზნით. ვიზიტის მიზანი იყო იმის შეფასება, უზრუნველყოფს თუ არა დაწესებულება გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის პირობებში პროგრამის ხარისხიან განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეხვდა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს, კლინიკური ბაზების წარმომადგენლებს, სტუდენტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ასევე, განხორციელდა უნივერსიტეტის სასწავლო ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, კლინიკური სასწავლო გარემოსა და სტუდენტური მომსახურების დათვალიერება.

შეფასების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ გარემოებების ანალიზს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდას, მათ შორის: ადამიანური რესურსების საკმარისობას, კლინიკური სწავლების შესაძლებლობებს, ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობას, სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობას. შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და ეფუძნებოდა როგორც დოკუმენტურ მტკიცებულებებს, ისე ვიზიტის დროს მიღებულ ინფორმაციასა და ინტერვიუების შედეგებს.

ვიზიტი წარიმართა საქმიან, კონსტრუქციულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ გარემოში. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს მოთხოვნილი ინფორმაცია და უზრუნველყვეს შესაბამისი მტკიცებულებების ხელმისაწვდომობა, რამაც შესაძლებელი გახადა შეფასების პროცესის სრულყოფილად განხორციელება. მიღებული ინფორმაციის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა მოამზადა დასკვნა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დასკვნის ფორმა საჭიროებს მოდიფიცირებას ისე, რომ მისი შინაარსი შეესაბამებოდეს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შეფასების მიზანს. ფორმიდან მიზანშეწონილია გამოირიცხოს იმ კომპონენტების შეფასება, რომლებიც თავისი ბუნებით დამოუკიდებელია სტუდენტთა რაოდენობრივი პარამეტრისგან (მათ შორის, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და პროგრამის სტრუქტურა), ხოლო შეფასება კონცენტრირდეს მხოლოდ იმ პირობებისა და რესურსების ადეკვატურობაზე, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავს გაზრდილი კონტინგენტის პირობებში პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანი მიღწევების და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა

აღწერა:

წინა აკრედიტაციის შეფასების შემდეგ ევროპის ცენტრალურმა უნივერსიტეტმა დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა. უნივერსიტეტმა განავითარა პროგრამის დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გააძლიერა ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და კლინიკური რესურსები, რაც ქმნის საფუძველს გაზრდილი სტუდენტური კონტინგენტის ეფექტიანი მართვისთვის.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სისტემური მექანიზმები, რომლებიც ეფუძნება მოთხოვნადობის, არსებული რესურსებისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზს. პროგრამაზე საერთაშორისო სტუდენტების მზარდი ინტერესისა და მრავალწლიანი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის დასაბუთებული გეგმა, რომლის მომზადებაშიც ჩართული იყო უნივერსიტეტის ყველა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და დაინტერესებული მხარე.

მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება პროგრამის შინაარსის განვითარებაშიც. დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციების გათვალისწინებით გაძლიერდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, დაემატა სავალდებულო კლინიკური მორიგეობები, დაინერგა „სამედიცინო ინფორმატიკის“ კომპონენტი, გადაიხედა შეფასების მიდგომები და განხორციელდა სხვა ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს პრაქტიკული კომპეტენციების, კლინიკური აზროვნებისა და პროფესიული უნარების განვითარებას.

უნივერსიტეტმა ასევე გააძლიერა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსები. წარმოდგენილია საკმარისი სასწავლო, ლაბორატორიული და სიმულაციური სივრცეები, გაფართოებულია კლინიკური ბაზები, ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა შეესაბამება პროგრამის განხორციელების საჭიროებებს როგორც არსებული, ისე გაზრდილი კონტინგენტის პირობებში.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარებაც. უნივერსიტეტში დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია, რეგულარული მონიტორინგისა და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ზემოაღნიშნული მიღწევები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტი სისტემურად ავითარებს საგანმანათლებლო, კლინიკურ და ადმინისტრაციულ გარემოს, ხოლო განხორციელებული ცვლილებები და განვითარების დინამიკა ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს პროგრამის მდგრადი და ხარისხიანი განხორციელებისთვის.

რეკომენდაციების შეჯამება[1]

- **რეკომენდაცია 1**

1.4 პროგრამაში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით 60 კრედიტზე მეტი დატვირთვის შესაძლებლობის შესახებ ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

რჩევების შეჯამება

- **რჩევა 1**

2.1. სასურველია ინსტიტუციამ განიხილოს საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის ბიოლოგიური/საბუნებისმეტყველო მზაობის შემოწმების დამატებითი მექანიზმის დანერგვა, რათა მათი აკადემიური მზაობა შედარებადი იყოს ადგილობრივ სტუდენტებთან.

საუკეთესო პრაქტიკები (არსებობის შემთხვევაში)

- *საუკეთესო პრაქტიკა 1*

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (გთხოვთ, მონიშნოთ ერთ-ერთი)

*☒ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა **მოთხოვნილი** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა **მოთხოვნილზე ნაკლები** ზღვრული რაოდენობის მისაღებად;*

*☐ განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არის პროგრამაზე სტუდენტთა **არსებული და არა მოთხოვნილი**[2] ზღვრული რაოდენობის მისაღებად.*

ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება/არგაზიარების შესახებ

აღწერა:

[1] საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაამატოთ

[2] იმ შემთხვევაში, თუკი განხორციელებული გარე შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მზად არ არის პროგრამაზე სტუდენტთა არსებული ზღვრული რაოდენობის მისაღებად, გთხოვთ, აღწეროთ/გაანალიზოთ სტანდარტების აღწერილობით ნაწილში

2026 წლის 11 აგვისტოს MES 0 26 0001037240 წერილით სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადმოუგზავნა ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია შეეხებოდა დასკვნის პროექტში ასახულ ფაქტობრივ გარემოებასა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
უნივერსიტეტის განმარტებით, დასკვნის პროექტის მე-3 გვერდზე, ველში „ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა“, მითითებული 900 სტუდენტი არ შეესაბამება მოქმედ მონაცემს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილების საფუძველზე, დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების საერთო ზღვრული რაოდენობა შეადგენს 1200-ს, მათ შორის, ქ. ქუთაისში განხორციელებულ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე — 350-ს. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი ინფორმაცია და შესაბამისი ფაქტობრივი მონაცემი დასკვნაში დააზუსტა.
რაც შეეხება რეკომენდაციას სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით წელიწადში 60 კრედიტზე მეტი სასწავლო დატვირთვის შესაძლებლობის შესახებ ჩანაწერის დაზუსტების თაობაზე, უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას და გამოთქვამს მზადყოფნას, შესაბამისი ცვლილება შეიტანოს საგანმანათლებლო პროგრამის ქართულენოვან ვერსიაში. დაწესებულების განმარტებით, გამოვლენილი უზუსტობა ტექნიკურ-თარგმნითი ხასიათისაა და მხოლოდ პროგრამის ქართულენოვან ვერსიაში ფიქსირდება, მაშინ როდესაც ინგლისურენოვან ვერსიაში ჩანაწერი სწორად არის ფორმულირებული: „The total number of credits added above 60 within the established duration of the program does not exceed 15 credits in total“.
უნივერსიტეტის პოზიციის თანახმად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში შეუსაბამობა არ იკვეთება. კერძოდ, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ფარგლებში 60 კრედიტზე ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. ამასთანავე, სასწავლო პროცესის მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო დატვირთვის კონტროლს და არ იძლევა შესაბამისი რეგულაციით დადგენილ ზღვარზე მეტი კრედიტის ათვისების შესაძლებლობას. დაწესებულება ასევე აღნიშნავს, რომ სტუდენტებს სასწავლო დატვირთვის, კრედიტების დაგროვებისა და მოქმედი რეგულაციების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად მიეწოდებათ.
ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ გამოვლენილი უზუსტობა შესაძლოა ტექნიკური და თარგმნითი ხასიათის შეცდომით იყოს განპირობებული, ვინაიდან უნივერსიტეტის გუნდი სათანადოდ იცნობს შესაბამის რეგულაციას, ხოლო პროგრამის ინგლისურენოვან ვერსიაში აღნიშნული საკითხი მოთხოვნის შესაბამისად და განსხვავებული ფორმულირებით არის წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ქართულენოვან ვერსიაში ჩანაწერის ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციისა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია უცვლელად დატოვა.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
1.5 სასწავლო კურსი/საგანი

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
წარმოდგენილი სტანდარტის შეფასების ფარგლებში გაანალიზებულია, რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები დარგობრივ მახასიათებელს და სტანდარტის მოთხოვნებს, და რამდენად ინარჩუნებენ ისინი მდგრადობას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-მდე გაზრდის პირობებში. პროგრამა აკრედიტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება №476568, 11.05.2022. **1.1 პროგრამის მიზნები** პროგრამის მიზანი უნივერსიტეტის მიერ ფორმულირებულია შემდეგნაირად: დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებას, რომელიც: ფლობს პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს (1); ხელმძღვანელობს მტკიცებითი მედიცინის პრინციპებით (2); იყენებს კვლევისა და კომუნიკაციის უნარებს (3); იზიარებს ეთიკის ნორმებსა და პრინციპებს (4); პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში (5). წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები ფორმულირებულია მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი ხასიათით და ეფუძნება დეტალურ სფეროს „0912 მედიცინა“ დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. მიზნების შემუშავებისა და პერიოდული გადახედვის პროცესში დასტურდება დაინტერესებული მხარეების — დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის — ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს მიზნების თანხვედრას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დაწესებულების ინსტიტუციურ მისიასთან. პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ პროგრამის მიზნები, თავიანთი ბუნებით, წარმოადგენს კურსდამთავრებულის კვალიფიციური პროფილის აღწერას და არ

არის ფუნქციურად დამოკიდებული მისაღები კონტინგენტის რაოდენობრივ პარამეტრზე. შესაბამისად, მიზნების ფორმულირება, როგორც ასეთი, არ საჭიროებს ცვლილებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის კონტექსტში. ამასთანავე, საჭიროა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნებში ინტეგრირებული პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციების კომპონენტის ფაქტობრივი მიღწევადობა უპირობოდ განპირობებულია შესაბამისი ინსტიტუციური რესურსების ადეკვატურობით.

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესატყვის დონეს და დარგობრივი მახასიათებლით რეკომენდირებულ სწავლის შედეგებს. წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ადასტურებს ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირს ამ ორ კომპონენტს შორის, სადაც თითოეული სწავლის შედეგი კავშირშია ერთ ან რამდენიმე პროგრამულ მიზანთან.

განსაკუთრებული ანალიზის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სწავლის შედეგებში ინტეგრირებული პრაქტიკული და კლინიკური კომპონენტების ხარისხობრივი მიღწევა თანაზომადია დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობის ნორმებთან (თერაპიული და ქირურგიული პროფილის, ასევე მეანობა-გინეკოლოგიისა და პედიატრიის დეპარტამენტებში — არაუმეტეს 1:10-ისა; რეანიმაციისა და ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში — არაუმეტეს 1:6-ისა). სწავლის შედეგების ფორმულირება, თავისთავად, არ განიცდის ცვლილებას სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შედეგად, თუმცა მისი ეფექტიანი განხორციელება პირდაპირაა დამოკიდებული აღნიშნული თანაფარდობის შენარჩუნებაზე, რაც წარმოადგენს რესურსული ხასიათის სტანდარტების განხილვის საგანს.

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

ინსტიტუციის მიერ დანერგილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ორკომპონენტიანი მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს პირდაპირ მეთოდს (ინდიკატორებზე დაფუძნებული სწავლის შედეგების შეფასება პროგრამის შესაბამისი დანართის მიხედვით, ასევე სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და არაპირდაპირ მეთოდს (კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებელთა გამოკითხვა). მეთოდოლოგია განსაზღვრავს კონკრეტულ სამიზნე და საყურადღებო ნიშნულებს (10%-იანი ზღვარი) და რეაგირების ორეტაპიან პროცედურას, რაც ერთობლიობაში ადასტურებს მექანიზმის სისტემურ და დასაბუთებულ ხასიათს.

ამასთანავე, უსდ-ს მიერ თავადვე დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ინდიკატორული მეთოდით სისტემატური შეფასება ინიცირებულია 2025-2026 აკადემიური წლიდან და პროგრამის ყველა სწავლის შედეგის სრული შეფასების ციკლის დასრულება

იგეგმება 2030-2031 აკადემიური წლისთვის, ხოლო არაპირდაპირი მეთოდით (კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე) შეფასება პირველად განხორციელდება მიმდინარე აკადემიურ წელს, პროგრამის შედარებით მცირე ვადამოსულობის გამო. აღნიშნული გარემოება ცხადყოფს, რომ შეფასების მექანიზმის მეთოდოლოგიური საფუძველი ადეკვატურად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მისი პრაქტიკული გამოყენებით მიღებული ემპირიული მტკიცებულების ბაზა ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში ჯერ არ არის სრულყოფილად ფორმირებული, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მონიტორინგის უწყვეტობასა და სიხშირეს კონტინგენტის მნიშვნელოვნად გაზრდის პირობებში.
დასკვნა: მექანიზმი მეთოდოლოგიურად შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

აღწერა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 360 ECTS კრედიტისგან, გათვალისწინებულია ექვსწლიანი (თორმეტსემესტრიანი) ხანგრძლივობით, რაც შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედი კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემისა და უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (ერთსაფეხურიანი პროგრამა) მოთხოვნებთან. ერთი კრედიტი შეესატყვისება 30 ასტრონომიულ საათს, სემესტრული დატვირთვა განისაზღვრება 30 კრედიტით, ხოლო წლიური — 60 კრედიტით;
პროგრამის შინაარსობრივი სტრუქტურა დანაწილებულია ძირითადი სწავლის სფეროსა და თავისუფალი კომპონენტების მიხედვით:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტები — 330 კრედიტი, მათ შორის სავალდებულო კომპონენტები 320 კრედიტის მოცულობით (მათ შორის 10 კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს, ხოლო 28 კრედიტი — სიმულაციურ/ლაბორატორიულ სწავლებას) და არჩევითი კომპონენტები 10 კრედიტის მოცულობით;
- თავისუფალი კომპონენტი — 30 კრედიტი (16 კრედიტი სავალდებულო და 14 კრედიტი არჩევითი თავისუფალი კომპონენტების სახით), ორიენტირებული ტრანსფერული უნარების განვითარებაზე.

ეს განაწილება შესაბამისობაშია დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის ბალანსს პროფესიულ სპეციალიზაციასა და ზოგადუნივერსიტეტულ კომპეტენციებს შორის.

ამასთანავე, პროგრამაში არსებული ჩანაწერი – „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის აკადემიური წლის განმავლობაში დატვირთვა განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით. პროგრამის დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში არ აღემატება 15 კრედიტს“ – საჭიროებს მოდიფიცირებას, ვინაიდან მისი შინაარსი არ არის საკმარისად მკაფიო და არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამასთან, ჩანაწერიდან არ იკვეთება მისი შესაბამისობა მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც საჭიროებს უფრო ზუსტ და არაორაზროვან ფორმულირებას.

პროგრამა ხასიათდება ნაწილობრივი ინტეგრირებულობით, რომელიც გამოხატულია საბაზისო და კლინიკური საგნების ვერტიკალური (სისტემის/სინდრომის მიხედვით გაერთიანება) და ჰორიზონტალური (მომიჯნავე საგნების გაერთიანება საბაზისო ან კლინიკურ ასპექტში) ინტეგრაციის მეშვეობით. აღნიშნული მიდგომა ასახულია პროგრამის ოთხფაზიან სტრუქტურაში:

- I ფაზა — მედიცინის საფუძვლები (I-II კურსი): მოიცავს ჰორიზონტალურად ინტეგრირებულ მოდულებს (ადამიანის სხეული I-III, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების საფუძვლები I-IV, ტვინი/გონება/ქცევა), კლინიკური და პროფესიული უნარების გრძივ კომპონენტს პირველივე სემესტრიდან, ასევე მედიცინა და საზოგადოება და სამეცნიერო მსჯელობის მოდულებს;
- II ფაზა — ჯანმრთელობის და ავადობის მექანიზმები (III კურსი): ორიენტირებულია პათოლოგიური პროცესების, დაავადებათა განვითარებისა და მკურნალობის მექანიზმების შესწავლაზე, კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალზე და დიაგნოსტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაზე;
- III ფაზა — ძირითადი კლინიკური ფაზა (IV-V კურსი): გულისხმობს კლინიკურ როტაციებს ძირითად კლინიკურ დისციპლინებში (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, გადაუდებელი მედიცინა, პედიატრია, ფსიქიატრია, რადიოლოგია და სხვ.);
- IV ფაზა — კლინიკური ფაზის დასკვნითი საფეხური (VI კურსი): ითვალისწინებს კომპეტენციების განმტკიცებას, საბაზისო საგნების სპირალურ გადახედვას და დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა მომზადებას სამომავლო სპეციალიზაციისა და დიპლომისშემდგომი საფეხურისთვის.

ეს ფაზობრივი მოწყობა ლოგიკურად და თანმიმდევრულად უზრუნველყოფს კომპეტენციების პროგრესულ ფორმირებას თეორიული ცოდნიდან კლინიკური აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების სრულყოფისკენ, რაც შესაბამისობაშია სამედიცინო განათლების საერთაშორისო მეთოდოლოგიურ პრინციპებთან და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან.

პროგრამის სასწავლო გეგმა განსაზღვრავს კომპონენტებზე დაშვების წინაპირობებს, კომპონენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას და კრედიტების სემესტრულ განაწილებას, რაც უზრუნველყოფს კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრულ ლოგიკას. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების თანაფარდობა დიფერენცირებულია კურსის სპეციფიკის მიხედვით (მაგალითად, „კლინიკური და პროფესიული უნარები“ ციკლის კურსებში საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობაა საშუალოდ 2.2/1, ხოლო „საკომუნიკაციო უნარები“ კურსში — 4/1), ასევე დიფერენცირებულია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის ხვედრითი წილი (მაგალითად, „კლინიკური და პროფესიული უნარები“ კურსებში სალექციო/პრაქტიკული თანაფარდობაა საშუალოდ 1/3.4, „ქირურგია“ კურსებში — 1/4.6), რაც ასახავს დასაბუთებულ მიდგომას იმ კურსების მიმართ, რომლებიც ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

პროგრამის სტრუქტურისა და სასწავლო გეგმის შემუშავებისა და პერიოდული განვითარების პროცესში დასტურდება პროგრამის კომიტეტის, სტუდენტების, პოტენციური დამსაქმებელთა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართულობა. აღნიშნულის შედეგად

განხორციელებული ცვლილებების მაგალითებია: სავალდებულო მორიგეობების დამატება კონკრეტულ კლინიკურ მიმართულებებში, „სამედიცინო ინფორმატიკის“ კომპონენტის ინტეგრირება, გერმანული ენის არჩევის შესაძლებლობა და სასწავლო კურსების ინტეგრირებულ კომპონენტებში ბარიერების დადგენა.

ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელებმა და კურიკულუმის კომიტეტის წევრებმა დეტალურად აღწერეს, თუ როგორ ხორციელდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის პრაქტიკული რეალიზება კონკრეტულ ინტეგრირებულ მოდულებში, ასევე დაასაბუთეს კომპონენტების თანმიმდევრობისა და წინაპირობების პედაგოგიური რაციონალი, რაც თანხვედრაშია დოკუმენტურად წარმოდგენილ ინფორმაციასთან და ადასტურებს სტრუქტურული გადაწყვეტილებების გააზრებულ და დასაბუთებულ ხასიათს.

დასკვნა: ქვესტანდარტი შესაბამისობაშია სტუდენტების მოთხოვნილი რაოდენობის მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლით დასტურდება, რომ თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსის შინაარსთან, სირთულის დონესთან და პროგრამის ზოგად სწავლის შედეგებთან, რასაც ადასტურებს შემუშავებული სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. სასწავლო კურსების კრედიტოვანი მოცულობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების თანაფარდობა, ასევე სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის ხვედრითი წილი დიფერენცირებულია კურსის შინაარსობრივი სპეციფიკის შესაბამისად, რაც ასახავს დასაბუთებულ მიდგომას სასწავლო დატვირთვის განაწილებისადმი.
სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შესატყვისია კურსის თემატიკასთან და აქტუალურია. სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები შერჩეულია კურსის სპეციფიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
დასკვნა: ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან დასტურდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- განაცხადი ;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (სასწავლო გეგმის სტრუქტურა, ფაზების აღწერა, კომპონენტების განაწილება);
- საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №5 — პროგრამის სასწავლო გეგმა (კომპონენტების თანმიმდევრობა, წინაპირობები, კრედიტების სემესტრული განაწილება, საკონტაქტო/დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა);
- საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №2 — პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;

- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი“;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 1-ლი აპრილის №MES 3 26 0000389596 ბრძანებით დამტკიცებული მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები, შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, კომიტეტის წევრებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი 1.4.- რეკომენდაცია

- პროგრამაში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით 60 კრედიტზე მეტი დატვირთვის შესაძლებლობის შესახებ ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ერთმნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

-

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
2.4 სტუდენტების შეფასება

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და დიფერენცირებულია მიღების არხის მიხედვით. ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღები აბიტურიენტები: აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართული ენა და ლიტერატურა (მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დაძლევით), ინგლისური ენა (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი — 80%), ბიოლოგია (მინიმალური ბარიერის დაძლევით) და ერთ-ერთი საგანი ქიმია/მათემატიკა/ფიზიკიდან. ბოლო საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იქნეს განსაზღვრული პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 30%-ზე ნაკლები, ხოლო ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე. საერთაშორისო (უცხოელი) სტუდენტების მიღება: უცხოელი აბიტურიენტები, რომლებსაც არ გავლიათ საქართველოს ერთიანი ეროვნული გამოცდები, სწავლის უფლებას მოიპოვებენ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული კატეგორია ვალდებულია დაადასტუროს ინგლისური ენის B1 დონეზე ფლობა „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის №ძ70 ბრძანებით). დაშვების წინაპირობები, თავისი არსით, დამოკიდებული არ არის მისაღები კონტინგენტის რაოდენობრივ მაჩვენებელზე — იგივე კრიტერიუმები და ბარიერები ვრცელდება 350 თუ 600 ადგილზე მისაღებ აბიტურიენტებზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარების ერთგვაროვან ხარისხს ზღვრული რაოდენობის ცვლილების პირობებშიც. თუმცა მიზანშეწონილია, ინსტიტუციამ განიხილოს საერთაშორისო აბიტურიენტებისთვის ბიოლოგიური/საბუნებისმეტყველო მზაობის შემოწმების დამატებითი მექანიზმის დანერგვა (მაგალითად, შესაბამისი შემავალი გამოცდის, სავალდებულო მოსამზადებელი კურსის ან წინა

განათლების დოკუმენტების შინაარსობრივი შეფასების სახით). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამის კონტინგენტის დიდ ნაწილს სწორედ საერთაშორისო სტუდენტები შეადგენენ და მათი აკადემიური მზაობა უნდა იყოს შედარებადი ადგილობრივ სტუდენტებთან, რომლებისთვისაც ბიოლოგიის გამოცდა სავალდებულოა.

დასკვნა: ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებას „სამეცნიერო მსჯელობა I-IV“ სასწავლო კურსების მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ეუფლებიან კვლევის მეთოდოლოგიას, ლიტერატურის მოძიებასა და კრიტიკულ ანალიზს, კვლევის დიზაინის შემუშავებას და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს. პრაქტიკული და კლინიკური უნარების განვითარება ხორციელდება „კლინიკური და პროფესიული უნარები I-XI“ ციკლის კურსების, ლაბორატორიული სწავლების და კლინიკური როტაციების საშუალებით.

ტრანსფერული უნარები (გუნდურობა, ლიდერობა, კომუნიკაცია, კრიტიკული აზროვნება) ინტეგრირებულია პროგრამის თავისუფალი კომპონენტების და ცალკეული ინტეგრირებული მოდულების ფარგლებში. სტუდენტთა კვლევითი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით ინსტიტუციაში რეგულარულად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები (მე-5 კონფერენცია დაგეგმილია მიმდინარე აკადემიურ წელს), სამეცნიერო კვირეულები და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.

დასკვნა: ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია სწავლება-სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები და აქტივობები (ლექცია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება (CBL), სიმულატორებით სწავლება, ლაბორატორიული მუშაობა, კლინიკური პრაქტიკა, როლური თამაშები, ტუტორიალი და სხვ.), რომელთა შერჩევა ეფუძნება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს. შემუშავებულია სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა, რომელიც ასახავს, თუ რომელი მეთოდი რა ხარისხით უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას.

ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები (კვირაში 2 საათი თითოეულ სასწავლო კურსში) რჩება უცვლელი მოცულობით მისაღები კონტინგენტის ზომის მიუხედავად და

ინტეგრირებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო შესაბამისი განრიგი ხელმისაწვდომია Moodle-ის ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, ასევე სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ სილაბუსებში მითითებული სწავლება-სწავლის მეთოდები ფაქტობრივად გამოიყენება სასწავლო პროცესში დეკლარირებული ფორმატით და ჯგუფური მეთოდების (PBL, CBL) გამოყენება არ განიცდის რაიმე ცვლილებას მისაღები კონტინგენტის ზომასთან დაკავშირებით.

დასკვნა: ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

2.4 სტუდენტების შეფასება

აღწერა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესთან“. შეფასება ხორციელდება შუალედური და დასკვნითი კომპონენტების ჯამური სისტემით, განსაზღვრულია ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასების დონე, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და დამატებითი გამოცდის მექანიზმი. გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები (ესსე, ტესტი, OSPE, OSCE, პორტფოლიო, მორიგეობა და სხვ.), რომელთა შერჩევა დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკასა და მისაღწევ სწავლის შედეგებზე. უზრუნველყოფილია შეფასების გამჭვირვალობა (ნაშრომების ანონიმური შემოწმება) და გასაჩივრების მექანიზმი სააპელაციო კომისიის მეშვეობით.

განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული (OSPE) და კლინიკური (OSCE) გამოცდების ორგანიზებას, რომელთა ჩატარება მოითხოვს არა მხოლოდ სათანადო ინფრასტრუქტურას, არამედ საკმარის დროსა და გამომცდელთა რესურსს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურად შესაფასებლად. ინტერვიუს ფარგლებში საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გამართული შეხვედრების შედეგად გაირკვა, რომ ინსტიტუციას სრულყოფილად აქვს გააზრებული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდით გამოწვეული გამოწვევები საგამოცდო პროცესის ორგანიზების კუთხით და შესაბამისად მომზადებული არიან: მათ დაწვრილებით აღწერეს OSPE/OSCE ფორმატის გამოცდების დამატებითი ტალღების/ჯერების დაგეგმვის მექანიზმი, გამომცდელთა რესურსის გადანაწილების პრინციპები და საგამოცდო ცენტრის ორგანიზაციული მზაობა გაზრდილი კონტინგენტის მომსახურებისთვის. აღნიშნული პასუხები ცხადყოფს, რომ საგამოცდო პროცესის მასშტაბირების საკითხი წინასწარ არის განხილული და დაგეგმილი შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში, რაც თანხვედრაშია დოკუმენტურად წარმოდგენილ ინფორმაციასთან.

დასკვნა: ქვესტანდარტი მეთოდოლოგიურად შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან; ინსტიტუციას გააზრებული აქვს გაზრდილი კონტინგენტის პირობებში საგამოცდო პროცესის ორგანიზების საკითხი და მომზადებულია მისი შესაბამისად წარმართვისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• განაცხადი; • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (დაშვების წინაპირობების ჩარჩო); • დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №3 — სწავლება-სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა; • საგანმანათლებლო პროგრამის დანართი №4 — პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება; • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციების დადგენის წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 22 ოქტომბრის №ძ70 ბრძანებით); • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 14 აგვისტოს №362 ბრძანებით); • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №382 ბრძანებით); • სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები; • სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მასალები და აბსტრაქტების კრებულები; • უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია სამეცნიერო კვირეულებისა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ; • Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა (http://unikmoodle.ge/) — საკონსულტაციო შეხვედრების განრიგი და სასწავლო მასალები; • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებთან, მიღების პროცესზე

პასუხისმგებელ ადმინისტრაციულ პერსონალთან და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენლებთან.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:
-

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ აკმაყოფილებს ☐ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ☐ არ აკმაყოფილებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდნეტების მხარდაჭერისა და კონსულტირების მრავალფეროვანი სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს მათ აკადემიურ, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და მათთვის საჭირო საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფაზე. სასწავლო წლის დასაწყისში უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი და ფაკულტეტის წარმომადგენლები მართავენ საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, რომელთა ფარგლებში მათ მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესის ადმინისტრირების, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების, სტუდენტური სერვისებისა და ხელმისაწვდომი შესაძლებლობების შესახებ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ელექტრონული პლატფორმა (eunsis.unik.edu.ge), რომლის მეშვეობითაც სტუდენტები ოპერატიულად იღებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ამასთანავე,

უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება მიმდინარე სიახლეები, აქტივობები და სხვა მნიშვნელოვანი განცხადებები, რაც სტუდენტებს უზრუნველყოფს ინფორმაციის მუდმივი ხელმისაწვდომობით.

სასწავლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია კონსულტაციისთვის გამოყოფილი საათები, რომელთა ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინდივიდუალური აკადემიური კონსულტაცია კურსის ხელმძღვანელებისგან. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური შედეგების გაუმჯობესებას, სასწავლო პროცესში მათი აქტიური ჩართულობის გაზრდასა და მათთვის საინტერესო საკითხებზე დროული და კვალიფიციური მხარდაჭერის მიღებას. ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ საკონსულტაციო საათებით და ხშირად მიმართავენ აკადემიურ პერსონალს როგორც სასწავლო კურსებთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციის, ისე აკადემიური შედეგების გაუმჯობესებისა და სხვა სასწავლო საკითხების განხილვის მიზნით.

უნივერსიტეტი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სტუდენტების კარიერული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს დამსაქმებელთა ფართო ქსელი, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიარონ პრაქტიკა სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, განივითარონ პროფესიული კომპეტენციები და მიიღონ ღირებული პრაქტიკული გამოცდილება.

ამასთანავე, უნივერსიტეტი სისტემატურად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროფესიული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს. რეგულარულად იმართება საჯარო ლექციები, სემინარები და საინფორმაციო შეხვედრები მედიცინის აქტუალურ საკითხებზე, მათ შორის კიბოს პრევენციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების ირგვლივ, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიული ხედვის გაფართოებასა და თანამედროვე გამოწვევების გაცნობიერებას.

კარიერული განვითარების სამსახური აქტიურად მუშაობს სტუდენტების პროფესიული უნარების გაძლიერებაზე. აღნიშნული მიზნით ტარდება შეხვედრები პროფესიულ გარემოში ინტეგრირების, კარიერის დაგეგმვის, პროფესიული პლატფორმების ეფექტიანი გამოყენებისა და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარების საკითხებზე.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში დადასტურდა, რომ ისინი სისტემატურად იღებენ ინფორმაციას უნივერსიტეტში დაგეგმილი პროფესიული და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ და აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ღონისძიებებსა და განვითარების შესაძლებლობებში.

უსდ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სტუდენტების შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობას და მათთვის ინკლუზიური, მხარდამჭერი გარემოს შექმნას. ინტერვიუების ფარგლებში საერთაშორისო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება რეგულარულად აორგანიზებს კულტურულ საღამოებს, ექსკურსიებს, კულტურულ და სპორტულ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტებს შორის კომუნიკაციის გაღრმავებას, კულტურათაშორისი ურთიერთობების განვითარებასა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათ აქტიურ ჩართულობას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი. საერთაშორისო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ფსიქოლოგიური კონსულტირების სერვისი მათთვის

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალ აკადემიურ და სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესში. ინტერვიუებისას მათ გაიხსენეს კონკრეტული შემთხვევებიც, როდესაც ფსიქოლოგიური კონსულტაცია მნიშვნელოვნად დაეხმარათ გარემოსთან ინტეგრაციასა და ადაპტაციის გამოწვევების დაძლევაში, რაც მიუთითებს სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების პრაქტიკულ ეფექტიანობაზე.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, სამეცნიერო და პროფესიულ ღონისძიებებში, კონფერენციებში, შემოქმედებით აქტივობებსა და საფეხურის შესაბამის კვლევით პროექტებში. ამასთანავე, მათ შეუძლიათ ისარგებლონ საერთაშორისო მობილობის პროგრამებით, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო გამოცდილების მიღებას, აკადემიური და პროფესიული კომპეტენციების განვითარებასა და ინტერკულტურული უნარების გაძლიერებას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტთა იდეებისა და ინიციატივების წახალისებასა და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობას. კონკურსის შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტუდენტებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2026 წელს გამოცხადებული სტუდენტური ინიციატივების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სამი პროექტი, რომელთაგან სამივე საერთაშორისო სტუდენტების მიერ იყო ინიცირებული. კონკურსის ფარგლებში მხარდაჭერილია სხვადასხვა მიმართულების პროექტები, მათ შორის სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ინოვაციური, კვლევითი და ტექნოლოგიური ინიციატივები, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი იდეები პრაქტიკაში განახორციელონ, განივითარონ პროექტების მართვის უნარები და აქტიურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სამეცნიერო საქმიანობაში და მონაწილეობენ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიულ ღონისძიებებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2023 წლის 7 დეკემბერს მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქ. რიგაში (ლატვია) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში „Sustainable Health Care“, ხოლო 2025 წლის 5–8 მაისს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები მონაწილეობდნენ საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის XIV კონგრესში (GAACI 2025).

ინტერვიუების ფარგლებში აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები გამოირჩევიან მაღალი მოტივაციითა სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით. მათი განმარტებით, სტუდენტები რეგულარულად გამოხატავენ ინტერესს სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით აქტივობებში მონაწილეობის მიმართ, აქტიურად ერთვებიან უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ღონისძიებებში და მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიულ ფორუმში.

უნივერსიტეტს განვითარებული აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის ფართო ქსელი, რომელიც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტების აკადემიური და პროფესიული განვითარებისათვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის

მემორანდუმები 20 უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომლებიც ახორციელებენ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის არიან დასავლეთ ბრეტანის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), რიგის სტრადინშის უნივერსიტეტი (ლატვია), კალისიის უნივერსიტეტი (პოლონეთი), სედლცეს უნივერსიტეტი (პოლონეთი), ჰითითის უნივერსიტეტი (თურქეთი) და სხვ.

წარმოდგენილი მასალებისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობას. კერძოდ, 2025–2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის უნივერსიტეტმა ჩაატარა შიდა საკონკურსო შერჩევა. მედიცინის ფაკულტეტის რვა სტუდენტი შეირჩა სრულად დაფინანსებულ საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობისათვის და წარდგენილ იქნა თურქეთის ოთხ პარტნიორ უნივერსიტეტში — ტოქათ გაზიოსმანფაშას უნივერსიტეტში, ქოჯაელის უნივერსიტეტში, ონდოქუზ მაისის უნივერსიტეტსა და ჰითითის უნივერსიტეტში (ქ. ჩორუმი).

ამასთანავე, წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2026 წლის ზაფხულში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები ქოჯაელის უნივერსიტეტის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტში ორთვიან კლინიკურ სტაჟირებას გაივლიან, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას საერთაშორისო კლინიკურ გარემოში განივითარონ პრაქტიკული ცოდნა და პროფესიული უნარები.

უნივერსიტეტი ასევე აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართულობას Erasmus+ KA171 საერთაშორისო მობილობის პროგრამაში. კერძოდ, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ განაცხადები წარადგინონ იტალიის „გ. დ'ანუნციოს" უნივერსიტეტში 2026–2027 სასწავლო წლის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მიზნით.

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში დანერგილი სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, მრავალფეროვანი სერვისები და მათი ეფექტიანი განხორციელების პრაქტიკა ქმნის საფუძველს დასკვნისთვის, რომ სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტის პირობებშიც დაწესებულება შეძლებს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფასა და სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და მათ საჭიროებებზე მორგებული სერვისების უწყვეტად შეთავაზებას, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემიურ, პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:
მიუთითეთ შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (თვითშეფასება, ინტერვიუები, დოკუმენტები და სხვა). • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №382 ბრძანებით); • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 16 ივლისის №263 ბრძანებით) • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი
- სამეცნიერო კონფერენციების პროგრამები
- ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საერთაშორისო მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი
- მასალების საკომუნიკაციოდ გამოყენებული Moodle-ის ელექტრონული პლატფორმა: http://unikmoodle.ge/;
- ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა: https://eunsis.unik.edu.ge/;
- უნივერისიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის ნომერი - რჩევა

- *რჩევა 1*

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
4.4 მატერიალური რესურსი
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
აღნიშნული სტანდარტის ფარგლებში შეფასებულია, რამდენად უზრუნველყოფს დაწესებულების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსი პროგრამის მდგრად, სტაბილურ და ეფექტურ ფუნქციონირებას როგორც მოცემული სტანდარტის, ისე მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებთან მიმართებაში. მათ შორის, რამდენად უზრუნველყოფს ეს რესურსი პროგრამის მდგრადობას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-დან 600-მდე გაზრდის პირობებში. **4.1 ადამიანური რესურსი** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროგრამაში ჩართულობა რეგულირდება ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "პერსონალის მართვის პოლიტიკითა" და "პერსონალის შერჩევის წესით", რომელიც განსაზღვრავს აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოზე მიღების, შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს. კერძოდ, აკადემიურ თანამდებობაზე პირი მიიღება მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე, საკონკურსო კომისიის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს კონკურსის ობიექტურად, გამჭვირვალედ და სამართლიანად ჩატარებას; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, ასევე მოწვეული და სამეცნიერო პერსონალი მიიღება დანიშვნით. თითოეულ თანამდებობას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 134 აკადემიური და მოწვეული პერსონალი - 12 პროფესორი, 19 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი და 98 მოწვეული ლექტორი, აკადემიური პერსონალიდან 13 პირია აფილირებული. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლინიკურ დისციპლინებში კვალიფიკაცია დამატებით უნდა დასტურდებოდეს დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი, პოზიციის მიხედვით დიფერენცირებული გამოცდილებით. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა მათი კვალიფიკაცია და დარგობრივ მოთხოვნებთან თავსებადობა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათ შორის თანაფარდობა რეგულირდება "აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით", რომელიც განსაზღვრავს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მინიმალურ რაოდენობას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების საათებისა და აქტიური სტატუსის სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების საათების არანაკლებ 51%-ს სავალდებულოა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი. აღნიშნული თანაფარდობა დაცულია დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში. იმავე მეთოდოლოგიით განისაზღვრება პერსონალის დატვირთვის სქემაც - პროფესორის აკადემიურ პოზიციაზე დაშვებულია

სემესტრში მაქსიმუმ 315 საათი (კვირაში საშუალოდ 21 საათი), ასოცირებული პროფესორისთვის მაქსიმუმ 360 საათი (24 საათი კვირაში), ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისთვის 405 საათი (27 საათი კვირაში), საკონსულტაციო საათების (2 საათი კვირაში) ჩათვლით. "აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები" დამატებით არეგულირებს აფილირებული პირის დატვირთვას სხვა უსდ-ში - არაუმეტეს 10 საათისა კვირაში, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მისი საუდიტორიო საათობრივი დატვირთვა არ არის სრული, იგი უფლებამოსილია გაიზარდოს საუდიტორიო დატვირთვა სხვა უსდ-ში ისე, რომ მისი საათობრივი დატვირთვა არ აჭარბებდეს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტსა და სხვა უსდ-ში ჯამში ასაღები საათების რაოდენობას. QMS ანგარიშის შესწავლამ გამოავლინა, რომ პერსონალის დატვირთვა აღნიშნულ რეგულაციებთან თანხვედრაშია.

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-დან 600-მდე გაზრდის მოთხოვნის დასასაბუთებლად წარმოდგენილი აქვს "სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება", რომელიც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ტევადობას დამოუკიდებლად ითვლის რვა რესურსული კომპონენტის მიხედვით. კერძოდ, სტუდენტთა რაოდენობას აკადემიური პერსონალის, პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის, პრაქტიკის ბაზების მიერ სტუდენტთა მისაღები ზღვრული რაოდენობის, სტუდენტთა რაოდენობას აუდიტორიების მიხედვით, სტუდენტთა რაოდენობას ლაბორატორიების მიხედვით, სტუდენტთა რაოდენობას სიმულაციური ცენტრის რესურსების, საბიობლიოთეკო რესურსების და დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით. ყველა კომპონენტის შესაბამისად გამოთვლილი ზღვრული ტევადობის მაჩვენებელი მნიშვნელოვანად აღემატება მოთხოვნილ 600-ს, რაც ადასტურებს, რომ არსებული ადამიანური რესურსი, დამატებითი კადრის მოზიდვის გარეშეც, საკმარისია დაგეგმილი ზრდისთვის. ამავე დროს, პროგრამის განმახორციელებელი 134 პირიდან აკადემიური პერსონალი შეადგენს მხოლოდ 36-ს (27%), ხოლო მოწვეული პერსონალი - 98-ს (73%) - ეს თანაფარდობა პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით საყურადღებოა, თუმცა თავისთავად არ არღვევს ინსტიტუციის მიერ დადგენილ ნორმატიულ ზღვარს.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედკოსის პროგრამას ხელმძღვანელობს ორი პროფესორი, რომელთა კვალიფიკაცია, სამედიცინო განათლება, მრავალწლიანი კლინიკური და პედაგოგიური გამოცდილება დასტურდება მათი პირადი საქმეებით. ინტერვიუს საფუძველზე გაირკვა, რომ ორივე აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავება-განვითარებაში, სასწავლო პროცესის მონიტორინგსა და სტუდენტთა კონსულტირებაში, რასაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივმოქმედი კომიტეტი.

პროგრამის სტუდენტები ასევე უზრუნველყოფილნი არიან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით (დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მართვის, სტუდენტთა მომსახურების, საგამოცდო, საერთაშორისო ურთიერთობების, ბიბლიოთეკის, HR და IT სამსახურების, ასევე სიმულაციური ცენტრისა და ლაბორატორიების პერსონალი).

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნილი ზრდის კონტექსტში.

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ერთსაფეხურიან პროგრამას, რომელიც არ მოიცავს სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურის კვლევით კომპონენტს ან სამეცნიერო ხელმძღვანელობას, შესაბამისად აღნიშნული სტანდარტის შეფასება არ განხორციელებულა.

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

ინსტიტუციაში მოქმედი „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის“ თანახმად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება ხორციელდება სამი მიმართულებით: პირველი - აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური ქულობრივი შეფასება (პოზიციების მიხედვით დიფერენცირებული მინიმალური მოთხოვნებით და შესაბამისი ფინანსური ანაზღაურებით), მეორე - აკადემიური საქმიანობის შეფასება სტუდენტთა, დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის მიერ, კითხვარების საფუძველზე, რომლის შედეგებიდან დგება სემესტრული და წლიური რეიტინგი და გაიცემა ფულადი ჯილდოები და მესამე - სააუდიტორო მუშაობის უშუალო დაკვირვება-შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სფეროს სპეციალისტისა და ტრენინგ-ცენტრის წარმომადგენლის მონაწილეობით. სამივე მიმართულების შედეგები რეგულარულად გამოიყენება პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მიზნობრივი პროფესიული განვითარებისთვის (მაგალითად, სააუდიტორო შეფასების შედეგად კონკრეტული პერსონალისთვის შემუშავებული ინდივიდუალური ტრენინგ-რეკომენდაციები), ასევე პერსონალის დაწინაურება-წახალისების მექანიზმებში.

პროფესიული განვითარებისთვის უსდ-ში ფუნქციონირებს ორი სპეციალიზებული სტრუქტურა - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი და სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრი, რომელთა მეშვეობით პერსონალისთვის რეგულარულად ტარდება ტრენინგები, ვორქშოპები და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით ჩატარებული სპეციალიზებული სამედიცინო-საგანმანათლებლო ღონისძიებები. პერსონალი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო მობილობასა და თანამშრომლობაში. 2023-2026 წლებში დაფიქსირებულია არაერთი Erasmus+ მობილობისა და სამუშაო ვიზიტი. ასევე უსდ-ს ორგანიზებით ჩატარებულია საერთაშორისო კონფერენციები (ICETI სერია). ცალკე ყურადღება ეთმობა ელექტრონული/დისტანციური სწავლება-შეფასების მეთოდებისა და ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენებაზე გადამზადებას.

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

4.4 მატერიალური რესურსი

მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტთა პანელის წევრებმა მოინახულეს ქ. ქუთაისში, აკ. წერეთლის N13-ი მდებარე ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის კამპუსი, რომელიც მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, სიმულაციურ ოთახებს, ფოიეებს, ბიბლიოთეკას, საკონფერენციო დარბაზს, კომპიუტერულ კლასებს, საგამოცდო ცენტრს, საპროფესორო და ადმინისტრაციულ ოთახებს. დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად უსდ-ს გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიები (747.39 კვ.მ, ერთდროული ტევადობა 580 პირი), ლაბორატორიები (108.92 კვ.მ, ტევადობა 70 პირი) და სიმულაციური ოთახები (202.06 კვ.მ, ტევადობა 118 პირი). აღნიშნული პროგრამისთვის მოწყობილია ქიმია-ბიოქიმიის, იმუნოლოგია-მიკრობიოლოგია-ფიზიოლოგიის ლაბორატორიები და ჰისტოლოგია-პათოლოგიის, ანატომიის სასწავლო კაბინეტები. ლაბორატორიები აღჭურვილია ძირითადი ხელსაწყოებით (ცენტრიფუგები, თერმოსტატი-სტერილიზატორი, ინკუბატორი, ფოტომეტრი, მიკროსკოპები), შესაბამისი ავეჯითა და ლაბორატორიული ჭურჭლით, სპეციფიკური ქიმიური რეაგენტებით, ჰემატოლოგიური ხელსაწყოებითა და დიაგნოსტიკური კომპლექტებით. სიმულაციური ცენტრი მოიცავს 8 ოთახს (რომელიც საგამოცდო პერიოდში ტრანსფორმირდება OSCE 12 სადგურად) და აღჭურვილია შესაბამისი სიმულატორ/მულაჟებით, მათ შორის Anatomage, Body Interact, ლაპარასკოპიული სიმულატორები, სხვადასხვა ტიპის ინექცია/კათეტერიზაციის მულაჟები, მშობიარობის სრული სიმულატორი, ტრავმისა და რეანიმაციის მანეკენები,

უსდ-ს მიერ წარდმოდგენილი სიმულატორების ჩამონათვლის დოკუმენტური და მათი ადგილზე შესწავლისას გაირკვა, რომ სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის საჭირო სიმულატორების, მულაჟებისა და მანეკენების მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დანართ №1-ით რეკომენდებულ ნუსხას პროგრამისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა არა მხოლოდ აკმაყოფილებს, არამედ რიგ პოზიციებზე (მაგალითად, Body Interact, VR სათვალე, ლაპაროსკოპიული სიმულატორები და ა.შ.) აღემატება კიდეც.

ბიბლიოთეკის ფონდი აღჭურვილია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურის ბეჭდური/ელექტრონული ვერსიებით, ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი (Openbiblio), ხოლო სტუდენტებსა და პერსონალს ხელმისაწვდომი აქვთ საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Hinari, eIFL-ის პაკეტი, Scopus, ScienceDirect). რესურსების გამოყენების წესებზე სტუდენტები რეგულარულად ინფორმირდებიან შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

"სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების" მიხედვით, მატერიალური რესურსების ტევადობებია: პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიების მიხედვით - 1 188, სალექციო აუდიტორიების მიხედვით - 1 215 სტუდენტი. ლაბორატორიების მინიმალური ტევადობა - 1 342, სიმულაციური ცენტრის - 1144, საბიბლიოთეკო რესურსი - 1 800; დამხმარე ადმინისტრაციულიპერსონალი - 1500. ყველა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება

მოთხოვნილ 600 სტუდენტს, რაც ადასტურებს რესურსის საკმარისობას გაზრდილი კონტიგენტისთვისაც.

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნილი ზრდის კონტექსტში.

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

უსდ-ის ბიუჯეტის შედგენა ხორციელდება "ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცედურების" შესაბამისად, დეცენტრალიზებული პრინციპით, სადაც პროგრამის ბიუჯეტის ფორმირებაში უშუალოდ არის ჩართული ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. 2025-2026 აკადემიური წლის ფინანსური გეგმის მიხედვით, უნივერსიტეტის შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება ხარჯებს, რის შედეგადაც წლიური ფინანსური შედეგი დადებითია; მედიცინის ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის შემოსავლის უდიდეს წყაროს და მისი დადებითი ბალანსი ფაქტობრივად აკომპენსირებს სხვა სტრუქტურული ერთეულების დეფიციტს, რითაც განაპირობებს მთლიანად უნივერსიტეტის დადებით ფინანსურ შედეგს. თავად დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტიც დადებითი ბალანსით ხასიათდება, რაც პროგრამას სოლიდურ ფინანსურ საფუძველს უქმნის.

ბიუჯეტის ხარჯვითი მუხლები მოიცავს ფინანსურ მხარდაჭერას პროგრამის ყველა ძირითადი მიმართულებისთვის: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასი და კვალიფიკაციის ამაღლება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აფილირებული პერსონალის საქმიანობის დაფინანსება, ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სასტიპენდიო პროგრამები, სტუდენტური კონფერენციები/ოლიმპიადები, სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემების სრულყოფა, კურაცია/პროფესიული პრაქტიკა, ლაბორატორიების/პრაქტიკის ცენტრების ხარჯები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადაიარაღება და საბიბლიოთეკო ფონდი. ცალკეა გამოყოფილი გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლი როგორც პროგრამის, ისე ფაკულტეტის დონეზე, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის მოქნილობას წინასწარ დაუგეგმავი საჭიროებების შემთხვევაში. ბიუჯეტის სამივე დონის (უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, პროგრამა) მონაცემები ურთიერთშეთანხმებულია და ადასტურებს, რომ ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

დასკვნა: მოცემული ქვესტანდარტი შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- *თვითშეფასების განაცხადი;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;*

- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი დაპირობები;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები;*
- *პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სახელობითი ჩამონათვალი;*
- *მედიცინის ფაკულტეტის დებულება;*
- *QMS-ის პერსონალის დატვირთვის სახელობითი ანგარიში;*
- *სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშება (2025-2026);*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის, მედიცინის ფაკულტეტისა და პროგრამის 2025-2026აკადემიური წლის ბიუჯეტები;*
- *ლაბორატორიების და სიმულაციური ცენტრის აღჭურვილობის ნუსხები;*
- *პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;*
- *ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები;*
- *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადგილზე დათვალიერების შედეგები;*
- *პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://cue.edu.ge*
- *https://iceti.eu.edu.ge/en/*

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კომპონენტის ნომერი - რეკომენდაცია

- *რეკომენდაცია 1*

ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:

- *პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია ინსტიტუციამ გადახედოს არსებულ, დადგენილ ნორმატიულ ზღვრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობასთან მიმართებაში. კერძოდ, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროგრამის განმახორციელებელი 134 პირიდან აკადემიური პერსონალი შეადგენს მხოლოდ 36-ს (27%), ხოლო მოწვეული პერსონალი - 98-ს (73%);*

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
5.2 გარე ხარისხის შეფასება
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

შეაფასეთ რამდენად აკმაყოფილებს ინსტიტუციის მიერ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა სტანდარტის მოთხოვნებს:

☒ *აკმაყოფილებს* ☐ *ნაწილობრივ აკმაყოფილებს* ☐ *არ აკმაყოფილებს*

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
5.1 შიდა ხარისხის შეფასება დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა ეფუძნება „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას“, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 2 ოქტომბრის №2 დადგენილებით (იხ.https://cue.edu.ge/chvens-shesaxeb/samartlebrivi-aqtebi/). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობას ახორციელებს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურების“ შესაბამისად (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 24 მარტის №ძ36 ბრძანებით). აღნიშნული აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებს და შეფასების ინსტრუმენტებს, შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებამ არსებული რეგულაციების მიხედვით მოახდინა 2025-2026 აკადემიური წლის სამოქმედო გეგმის ცვლილება, კერძოდ, დაემატა ამოცანა გეგმის მეხუთე მიმართულების ქუდქვეშ „უნივერსიტეტის რესურსების განვითარება და ეფექტიანი მართვა“ (ამოცანა „უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება“, ღონისძიება „დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის (განხორციელების ადგილი: ქუთაისი) სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა“). მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით

(დადგენილება №7, 22.05.2026) სამოქმედო გეგმას დაემატა აღნიშნული ამოცანა (იხ.https://cue.edu.ge/chvens-shesaxeb/strategia/).

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მონიტორინგის პროცედურა რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ19 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ევროპის ცენტრალური უნიევრსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურის“ შესაბამისად. პროცედურა ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობის მონიტორინგს ადგილების გამოცხადების (ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებით, ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მიღების, მობილობით სტუდენტების მიღების) შესახებ გადაწყვეტილების პროცესში. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №ძ52 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას არსებული რესურსების შეფასებასთან ერთად მხედველობაში მიიღება ერთ-ერთი ისეთი ფაქტორი, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლებში ჩარიცხულ სტუდენტთა ანალიზი).

ზემოთ აღნიშნული პროცედურების შესაბამისად, დაწესებულების მიერ ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობის ზრდა წარმოადგენს სისტემურ და არა ერთჯერად ტენდენციას, რომელიც განპირობებულია საერთაშორისო სტუდენტების გაზრდილი ინტერესით, საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობითა და უნივერსიტეტის აკადემიური გარემოს გაძლიერებით. კვლევა ეფუძნება ხუთწლიან სტატისტიკურ მონაცემებს.

უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 29 მაისის №ძ54 ბრძანებით დამტკიცდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობების, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შეფასებაზე და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის მომზადებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: რექტორი, ვიცე-რექტორები, დაწესებულების სხვადასხვა სამსახურების უფროსები (მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), მედიცინის ფაკულტეტის დეკანი და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის წევრი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომაზე დამსწრე სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული და პოტენციური დამსაქმებელი. ჯგუფი სრული შემადგენლობით შეიკრიბა სამჯერ. ამ შეხვედრებზე განაწილდა მათ შორის პასუხსიმგებლობები, სეფასდა მიმდინარე სამუშაოები, განიხილეს და შეაჯამეს

საბოლოო შედეგები. ამასთან, საანგარიშო პერიოდში განაწილებული პასუხისმგებლობების მიხედვით მუშაობის პროცესში მცირე ჯგუფების შეხვედრები და კომუნიკაცია მიმდინარეობდა ინტენსიურად.

განაცხადის მუშაობის პროცესში გამოკვეთილ გასაუმჯობესებელ საკითხებზე დაწესებულება რეაგირებაა ახდენდა განაცხადის მომზადების პროცესშივე (მაგალითად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დამატება, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება: შესაბამის პარტნიორებთან, კერძოდ, პრაქტიკის ობიექტებთან, კლინიკებთან ხელშეკრულებების დამატება/განახლება და ა.შ.).

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არ არის დისტანციური სწავლება. დაწესებულებას ჯერ კიდევ კოვიდ-19 პანდემიის დროიდან შემუშავებული აქვს შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“ დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები (იხ. https://cue.edu.ge/wp-content/uploads/2025/03/distantsiuri-stsavlebis-khariskhis-uzrunvelqhophis-meqanizmebi.pdf).

5.2 გარე ხარისხის შეფასება

საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ დებულებას“. ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი გარე ხარისხის შეფასების უმნიშვნელოვანეს მექანიზმად მიიჩნევს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ კოორდინირებულ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებს.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს ამ პროცესში მიღებულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. რათა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დახვეწა. უკვე არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, აკრედიტაციის ექსპერტებისა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გარე შეფასებებზე დაფუძნებული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების მრავალი შემთხვევაა.

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 გადაწყვეტილებით. აღნიშნული

გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა გარკვეული რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა უმეტესი ნაწილის გათვალისწინებაც, მოხდა პროგრამის ფარგლებში შესაბამისი პასუხისმგებელი მხარეების მიერ, პროგრამის მეტად განვითარების მიზნით, მაგალითად:

- მოხდა სასწავლო კურსების ,,ბიოეთიკა“ და „საკომუნიკაციო უნარები“ დამატება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პირველ სემესტრში ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების სტატუსით. მათგან ,,ბიოეთიკა“, ინტეგრირებული იყო სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები VI“, შესაბამსიად, მოხდა მისი გამოყოფა და პროგრამის პირველ სემესტრში ცალკე სასწავლო კურსად დამატება.

- სასწავლო კომპონენტი „სამედიცინო ინფორმატიკა“ 2 კრედიტის მოცულობით ინტეგრირდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსში „კლინიკური და პროფესიული უნარები VII“ (VII სემეტრი).

- მედიცინის ფაკულტეტის „სიმულაციური ცენტრის საქმიანობის წესში“ შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მონაწილე გამომცდელი არ არის კონკრეტულად იმ სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, რომელშიც ტარდება გამოცდა. 2021-2022 აკადემიური წლის მეორე სემესტრის დასკვნითი გამოცდები და მას შემდეგ მუდმივად OSCE-ის გამოცდები ტარდება ისე, რომ ლექტორი აღარ მონაწილეობს საგამოცდო პროცესში.

ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი იყენებს მიდგომას, რომ საგანმანათლებლო პროგრამები შეფასდეს დამოუკიდებელი, გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შემუშავების ან განახლების ეტაპზე, მათი შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით. ამ პრაქტიკის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სასწავლო გეგმა, ასევე გარკვეული კურსების სასწავლო პროგრამები) შეფასებისთვის იგზავნება გარე შემფასებელთან (როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ) დამოუკიდებელ ექსპერტთან. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა და სილაბუსების გარკვეული ნაწილი) განახლების ეტაპზე (რეაკრედიტაციის პროცესში) განმავითარებელი შეფასების მიზნით გაეგზავნა გარე შემფასებლებს, საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტებს (1) ეგეს უნივერსიტეტის (თურქეთი) პროფესორს და (2) თურქეთის განათლების ექსპერტს, მედიცინის დოქტორს, ამავე უნივერსიტეტის პროფესორს. ექსპერტების მიერ შეფასდა საგანმანათლებლო პროგრამა ყველა კომპონენტში, მათი მიგნებები და კომენტარები ასახულია ექსპერტების დასკვნის დოკუმენტში. პროგრამა დადებითად იქნა შეფასებული დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობის სახით, შეფასების პროცესში

მიღებული იყო მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განახლების ეტაპზე

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობითაც. გათვალისწინებულია დარგის პროფესიონალებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების, გამოკითხვის შედეგები. ასევე გათვალისწინებულია დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით და გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ წლიურად.
- საგანმანთლებლო პროგრამის მონიტორინგი, შეფასება, განვითარება და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება ხორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.
- პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასება ხორციელდება სააუდიტორო საქმიანობის შეფასების გზით.
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისითაც. უნივერსიტეტში მოქმედი „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ16 ბრძანებით) თანახმად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით განისაზღვრება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა და შესაბამისად, ფასდება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის სათანადოობა.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით რეგულარულად ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პეროსონალის ჩართულობით.

- საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში ფასდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა კმაყოფილების კვლევების საშუალებით.

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება საგამოცდო პროცესების შეფასებაც. გამოკითხვის პროცესის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული პლატფორმა https://www.surveymonkey.com.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო კურსის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, სწავლის შედეგების შეფასების, მიღებული შედეგების და შედეგების ანალიზის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება პროგრამის ხელმძღვანელს, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და მათთან ერთად განიხილება საჭირო ცვლილებები. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ მზადდება რეკომენდაციებზე რეაგირებისა და მიღებული რჩევების გათვალისწინების ანგარიში და ეგზავნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ანგარიშგებისა და შემდგომი შეფასებებისთვის.

პროგრამის განვითარებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ასევე, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ხდება საგანმანათლებლო პროგრამების შედარება წარმატებულ ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა განახლების ეტაპზე (რეაკრედიტაციის პროცესში) შედარდა რამდენიმე უნივერსიტეტის ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამასთან (საქართველოში მოქმედი 4 უნივერსიტეტი და უცხოეთში მოქმედი 2 უნივერსიტეტი).

პროგრამის პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულება ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსების, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების, ასევე სასწავლო და კვლევითი აქტივობების, დაწესებულების მიერ მიწოდებული სხვადასხვა სერვისების შესაფასებლად. ამ მიზნით დაწესებულებაში სემუშავებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარები.

სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესაძლებლობის შესაფასებლად დაწესებულებას დაანგარიშებული აქვს სტუდენტთა რაოდენობა დაწესებულებაში

მოქმედი მეთოდოლოგიისა და არსებული რესურსების მიხედვით, კერძოდ შეფასებულია:

- სტუდენტთა რაოდენობა აკადემიური პერსონალის მიხედვით (მედიცინის ფაკულტეტი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)
- სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ბაზებზე არსებული პერსონალის მიხედვით (დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა)
- სტუდენტთა რაოდენობა პრაქტიკის ბაზების მიხედვით (სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი)
- სტუდენტთა რაოდენობა აუდიტორიების მიხედვით
- სტუდენტთა რაოდენობა ლაბორატორიების რესურსის მიხედვით
- სტუდენტთა რაოდენობა სიმულაციური ცენტრის რესურსის მიხედვით
- სტუდენტთა რაოდენობა საბიბლიოთეკო მონაცემების მიხედვით
- სტუდენტთა რაოდენობა დამხმარე ადმინისტრაციული პერსონალის მიხედვით (მედიცინის ფაკულტეტი).

ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებულია და მოქმედებს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“: ფასდება საგანმანათლებლო პროგრამების მატერიალური რესურსი (აუდიტორიების რაოდენობა და გამტარუნარიანობა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩასატარებელი საკონტაქტო საათების მიხედვით), ადამიანური რესურსი (როგორც პროგრამის ადმინისტრირების პროცესში ჩართული, ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, მეთოდოლოგიით დადგენილი ნიშნულების მიხედვით). გარდა ამისა, ფასდება უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი (ბიბლიოთეკაში არსებული ადგილებისა და სტუდენტის მიერ ბიბლიოთეკაში საშუალოდ გატარებული დროის გათვალისწინებით), პრაქტიკის ბაზების გამტარუნარიანობა (ობიექტების/კლინიკების რაოდენობის და ხელშეკრულებებით განსაზღვრული სტუდენტთა ერთდროულად მისაღები მაქსიმალური რაოდენობების გათვალისწინებით). დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში ფასდება ასევე ლაბორატორიების გამტარუნარიანობა (ლაბორატორიების რაოდენობების, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ლაბორატორიაში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით),. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანალებლო პროგამის შემთხვევაში ფასდება ასევე სიმულაციური ცენტრის გამტარუნარიანობა (ცენტრში არსებული სიმულაციური ოთახების რაოდენობის, მათი შესაძლო საათობრივი დატვირთვისა და

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სიმულაციურ ცენტრში ჩასატარებელი საათების გათვალისწინებით). დაწესებულების მიერ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (600 სტუდენტის) სათანადოდ მომსახურებისთვის საჭირო რესურსები შეფასებულია სწორედ ზემოაღნიშნული მეთოდლოგიის შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად წარადგენს წლიურ ანგარიშებს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე https://cue.edu.ge/chvens-shesaxeb/xarisxis-uzrunvelyofa/.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
• ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სააუდიტორო მუშაობის შეფასების პროცედურები • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანალიზის შედეგები და გათვალისწინების ანგარიში

- საუდიტორო მუშაობის შეფასების შემაჯამებელი ანგარიშები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანაგრიში
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანაგრიში
- სტუდნეტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- საგამოცდო პროცესების შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი შეფასების პროცესის მონაწილე გარე ექსპერტის დასკვნა
- ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის დანართები
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები
- დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის კითხვარის ფორმები
- სტუდენტთა რაოდენობების გამოთვლის ცხრილი
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 მაისის №476568 გადაწყვეტილება (ძალაში შესვლის თარიღი: 26.04.2022) საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 4 ოქტომბრის №1299764 გადაწყვეტილება (ძალაში შესვლის თარიღი: 20.09.2024) დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ

• ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიდგომები • ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა 2025-2028 • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიშები • ვიზიტის დროს დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგები • დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი.
ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები:
-
ექსპერტთა ჯგუფის რჩევები:
-

დანართები (არსებობის შემთხვევაში)

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. (თავმჯდომარე) ხათუნა საგანელიძე
2. ია ნაცვლიშვილი
3. ელენე ზურაბიშვილი
4. თამარ თხელიძე (წევრი)